

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....3

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება5

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება7

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები9

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	3,366,377	2,643,771
არამატერიალური აქტივები	4	3,393	3,991
გუდვილი		211,811	-
საინვესტიციო ქონება		-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
		3,581,580	2,647,762
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	11,688	26,143
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,253,186	1,446,320
მარაგები	7	5,524	5,812
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
		1,270,399	1,478,274
მთლიანი აქტივები		4,851,979	4,126,036
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,374,395	2,659,269
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(533,421)	258,230
გადაფასების რეზერვი		-	-
		1,840,974	2,917,499
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		2,304,697	623,326
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	690,921	522,542
საგადასახადო ვალდებულებები	9	15,387	62,669
		3,011,005	1,208,537
მთლიანი ვალდებულებები		3,011,005	1,208,537
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,851,979	4,126,036

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი :

ვიტალი სერგია

6 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	3,366,377	2,643,771
არამატერიალური აქტივები	4	3,393	3,991
გუფილი		211,811	-
საინვესტიციო ქონება		-	-
ბილუგოური აქტივი		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
		3,581,580	2,647,762
მოკლევადიანი აქტივები			
ფულად ფულადი გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	11,688	26,143
სავაჭროდ სხვა მოკლევადიანი მოხმონები	6	1,253,186	1,446,320
მარგები	7	5,524	5,812
მისაღები დავიდნები და პროცენტები		-	-
		1,270,399	1,478,274
მოქონი აქტივები		4,851,979	4,126,036
მოქონი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,374,395	2,659,269
გაუნაწილებელი მოგება / (დგროვილი ზარალი)		(533,421)	258,230
გადფლების რეზერვი		-	-
		1,840,974	2,917,499
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
ანაროცხები		-	-
გადვადებული შემოსავალი		-	-
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		2,304,697	623,326
სავაჭროდ სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	690,921	522,542
საგადასახადო ვალდებულებები	9	15,387	62,669
		3,011,005	1,208,537
მოქონი ვალდებულებები		3,011,005	1,208,537
მოქონი კაპიტალი & ვალდებულებები		4,851,979	4,126,036

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდგომი პირის მიერ:

დირექტორი :

6 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია



შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

**კონსოლიდირებული მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

		12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	10	7,039,945	7,467,927
თვითღირებულება		(5,464,832)	(5,482,086)
საერთო მოგება		1,575,113	1,985,841
სხვა შემოსავლები	11	135,252	1,000
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,733,120)	(1,825,891)
მიწოდების დანახარჯები		(18,800)	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	(512,108)	(115,821)
სხვა ხარჯები		(48,456)	(5,097)
საოპერაციო მოგება		(602,118)	40,032
ფინანსური შემოსავალი		2,755	-
ფინანსური ხარჯი	14	(76,307)	(37,346)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(73,552)	(37,346)
მოგება დაბეგვრამდე		(675,671)	2,686
გაცემული დივიდენდი		-	-
მოგების გადასახადი		(16,068)	(37,103)
წმინდა მოგება		(691,739)	(34,417)
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
შემოსულობა მიწისა და შენობების		-	-
გადაფასებიდან,		-	-
გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(691,739)	(34,416)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ვიტალი სერგია

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	10	7,039,945	7,467,927
თვითღირებულება		(5,464,832)	(5,482,086)
საერთო მოგება		1,575,113	1,985,841
სხვა შემოსავლები	11	135,252	1,000
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,733,120)	(1,825,891)
მიწოდების დანახარჯები		(18,800)	-
სხვა შემოსავლები/(ზარალი) - წმინდა	13	(512,108)	(115,821)
სხვა ხარჯები		(48,456)	(5,097)
საოპერაციო მოგება		(602,118)	40,032
ფინანსური შემოსავალი		2,755	-
ფინანსური ხარჯი	14	(76,307)	(37,346)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(73,552)	(37,346)
მოგება დაბეგვრამდე		(675,671)	2,686
გაცემული დივიდენდი		-	-
მოგების გადასახადი		(16,068)	(37,103)
წმინდა მოგება		(691,739)	(34,417)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების		-	-
გადაფასებიდან,		-	-
გადასახადების გამოვლენით		-	-
მილიანი სრული შემოსავალი		(691,739)	(34,416)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გენერალური დირექტორი

6- 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	2,659,269	258,230	2,917,499
პერიოდის სრული შემოსავალი		(691,739)	(691,739)
გაცემული დივიდენდი		(99,913)	(99,913)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(284,874)		(284,874)
2020 წლის 31 დეკემბერი	2,374,395	(533,421)	1,840,974

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ვიტალი სერგია

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	2,659,269	258,230	2,917,499
პერიოდის სრული შემოსავალი		(691,739)	(691,739)
გაცემული დივიდენდი		(99,913)	(99,913)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(284,874)		(284,874)
2020 წლის 31 დეკემბერი	2,374,395	(533,421)	1,840,974

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ვიტალი სერგია

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“ (ს/კ 215127565) შემდგომში – კომპანია, დაფუძნდა 2005 წლის 6 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, პავლე ინგოროყვას ქუჩა, N 12.. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის კაპიტალის 100% წილის მფლობელია: ვიტალი სერგია, რომელიც ასევე წარმოადგენს ჯგუფის გენერალურ დირექტორს.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული ქონების გაქირავება.

კომპანიას დაფუძნებული აქვს შვილობილი კომპანიები:

- შპს „ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ“ 100%-იანი წილის ფლობით, 2016 წლის 23 დეკემბერს.
- შპს „ჯი ეს ჯი სოფთ“ 100%-იანი წილის ფლობით, 2017 წლის 24 აგვისტოს.
- შპს „ალასკა“ 50%-იანი წილის ფლობით 2018 წლის 8 აგვისტოს.
- შპს ნეტკორი 100%-იანი წილის ფლობით 2020 წლის 21 იანვრიდან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და ჯგუფის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2020 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2020 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ჯგუფი არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგების.

კონსოლიდირების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საოპერაციო შედეგების და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისისგან.

შვილობილი საწარმოები სრულად კონსოლიდირდება შესყიდვის თარიღიდან, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს და წყვეტს კონსოლიდირებას, როდესაც ჯგუფი დაკარგავს კონტროლს. შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო შედეგები და საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია იმავე სააღრიცხვო პერიოდისთვის რაც კომპანიისა, სადაც გამოყენებულია თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკა. ყველა შიდა ჯგუფური ბალანსები, შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და არარეალიზებული შიდა ჯგუფური მოგება და ზარალი და დივიდენდები სრულად ელიმინირდება.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმოს:

შპს „ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ“ – 100%

შპს „ალასკა“ – 50%

შპს ნეტკორი - 100%

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფი გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2020	1/1/2020
1 USD/GEL	3.2766	2.8661
1 EUR/GEL	4.0233	3.2143

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადის საშუალებებიდან ნაგებობები და სატრანსპორტო საშუალებები დატვირთულია სესხის უზრუნველყოფით.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით.

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

მიწა	
შენობა ნაგებობები	20
სატრანსპორტო საშუალებები	10
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის აქტივის გამოყენებაზე უფლებები და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

ვალდებულება მეიჯარის წინაშე ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ხარჯი ასახულია მოგებაში ან ზარალში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივები შესულია ძირითად საშუალებებში და მათ ცვეთა და გაუფასურება ერიცხებათ იგივე გზით, როგორც სხვა ფლობილ აქტივებს. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი აღიარდება სხვა შემოსავალში.

თუ, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებობს ნიშანი იმისა, რომ ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია შეიძლება იყოს გაუფასურებული, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ნაკლებია მისივე ანაზღაურებად ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება შემცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით

1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხხგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში

შენიშვნა 3
ძირითადი
საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
01 იანვარი 2020	17,255	2,487,830	27,899	33,209	276,475	6,807	1,575	2,851,050
შემოსვლა		1,174,587	3,744	212	28,394	-	37,797	1,244,734
გასვლა					(19,273)			(19,273)
31 დეკემბერი 2020	17,255	3,662,417	31,643	33,421	285,596	6,807	39,372	4,076,511
ცვეთა და გაუფასურება								
1 იანვარი 2020	-	(93,266)	(13,999)	(15,424)	(96,067)	(1,895)	(630)	(221,281)
პერიოდი								
ს ცვეთა		(454,103)	(5,679)	(5,948)	(21,514)	(895)	(713)	(488,853)
გასვლა					-	-		-
31 დეკემბერი 2020		(547,369)	(19,678)	(21,372)	(117,581)	(2,790)	(1,343)	(710,134)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
1 იანვარი 2020	17,255	2,394,564	13,900	17,785	194,408	4,912	945	2,643,771
31 დეკემბერი 2020	17,255	3,115,048	11,965	12,049	168,015	4,017	38,028	3,366,377

შენიშვნა 4
არამატერიალური აქტივი

	არამატერიალური აქტივები	სულ
1 იანვარი 2020	5,524	5,524
შემოსვლა		-
გასვლა		-
31 დეკემბერი 2020	5,524	5,524
ცვეთა და გაუფასურება		
1 იანვარი 2020	(1,532)	(1,532)
პერიოდის ცვეთა	(599)	(599)
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2020	(2,131)	(2,131)

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

წმინდა საბალანსო ღირებულება

01 იანვარი 2020	3,992	3,992
31 დეკემბერი 2020	3,393	3,393

შენიშვნა 5

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019
ნაღდი ფული სალაროში		-
ეროვნული ვალუტა ბანკში	11,688	26,143
უცხოური ვალუტა ბანკში		-
სულ	11,688	26,143

შენიშვნა 6

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1,224,462	1,430,278
გადახდილი ავანსები	28,724	16,042
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	-
სულ	1,253,186	1,446,320

შენიშვნა 7

მარაგები

	2020	2019
საქონელი	5,524	5,812
სულ	5,524	5,812

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	(690,921)	519,216
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი		3,326
სულ	690,921	522,542

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

შენიშვნა 9

საგადასახადო ვალდებულება

	2020	2019
საგადასახადო ვალდებულებები	15,387	62,669
სულ	15387	62669

შენიშვნა 10

ამონაგები

	2020	2019
ამონაგები გადაზიდვებიდან	7,039,945	7,467,927
ამონაგები იჯარიდან		-
სულ	7,039,945	7,467,927

შენიშვნა 11

სხვა შემოსავალი

	2020	2019
მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები	8,860	1,000
სულ	8,860	1,000

შენიშვნა 12

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
სხვა ხარჯი	(217,857)	(412,841)
შრომის ანაზღაურება	(1,068,968)	(989,362)
რემონტი	(40,552)	(54,358)
საიჯარო ქირა	37,092	(90,126)
საწვავი	(62,791)	(116,846)
კომუნალური ხარჯი	(14,668)	(18,274)
კომუნიკაციის ხარჯები	(13,986)	(12,845)
დაზღვევა	(63,977)	(57,792)
საკონსულტაციო ხარჯები	(40,869)	(41,826)
ცვეთა და ამორტიზაცია	(244,793)	(99,435)
მივლინების ხარჯები	(3,742)	(8,525)
ქონების გადასახადი	(76)	
დაცვის (GPS კონტროლის)	(559)	
ხარჯი		
სულ		(1,825,891)

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

(1,733,120)

შენიშვნა 13

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2020	2019
საკუთრო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	512,108	115,821
სულ	512,108	115,821

შენიშვნა 14

ფინანსური ხარჯი

	2020	2019
დარიცხული პროცენტი	76,307	37,346
სულ	76,307	37,346

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:
მომსახურების მიწოდება:

	2020	2019
მეკავშირე საწარმო	113,056	76,340
სულ	113,056	76,340

დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებულია მოკლევადიანი იჯარის ხელშეკრულება, რომლის ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო ფასით

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	2020	2019
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი		
მეკავშირე საწარმო	7,008	143,913
სულ	7,008	143,913

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2020	2019
შრომის ანაზღაურება მთლიანად	717,330	674,043
სულ	717,330	674,043

შპს „ჯორჯიან სერვის გრუპი“
(თანხები მოცემულია ლარში)

კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და მოკლე დროში მიიღო გლობალური პანდემიის სახე. მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა რამაც გავლენა იქონია ეკონომიკაზე, როგორც სტაბილურობის ისე კრიზისის თვალსაზრისით. პანდემიით მიყენებული შესაძლო ზიანის მასშტაბების შემცირების მიზნით გატარებული ღონისძიებების გამო, ნაწილობრივ გაჩერებულია ეკონომიკური საქმიანობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. საქართველოს ხელისუფლებამ დროულად მიმართა შეზღუდვებს და დააწესა რეგულაციები, კომპანიამ გაითვალისწინა ყველა მითითება და რეგულაცია, რის ფარგლებშიც გააგრძელა ეკონომიკური საქმიანობა.

კომპანია გეგმავს შექმნას საქმიანობის უწყვეტობის გეგმა, გაციფრულებაზე კი ყველაზე დიდ აქცენტები გაკეთდება. კომპანია გეგმავს მინიმუმადე დაიყვანოს თანამშრომლების და სხვა პირების ფიზიკური კონტაქტი, რასაც გაციფრულების საფუძველზე შეძლებს.

ზემოთ აღწერილის შემთხვევაში უნდა ითქვას რომ კორონა ვირუსს 2020 წლის ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდზე ბალანსშემდგომი მოვლენები არ განხორციელებულა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დამფუძნებლის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.